



აუდიტ პროფესიონალი  
Audit Professional

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ფუნქციონირებადობის შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

#### *აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს მისო „გლობალ კრედიტი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.



აუდიტ-პროფესიონალი  
Audit-Professional

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

### მოსაზრება

ჩავატარეთ შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს კომპანიისგან, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს მმართველობით ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ სხვა ინფორმაციაში გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

### ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.



აუდიტ პროფესიონალი  
Audit-Professional

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორს, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

რუსუდან ჟორჟოლიანი

შპს „აუდიტ - პროფესიონალი“-ს სახელით

ქუთაისი, საქართველო

12 ივნისი 2018 წელი

შპს მიკროსაფინანსო საზოგადოება

„გლობალ კრედიტი“

ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის



## შინაარსი

	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7 - 3 8

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2017	2016
	შენიშვნა	ლარი	ლარი
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულადი ეკვივალენტები	6	102 362	56 464
გაცემული სესხები	7	4 630 715	4 318 042
მისაღები პროცენტები	8	161 908	117 727
ძირითადი საშუალებები	9	11 655	16 687
არამატერიალური აქტივები	10	1 967	1 718
გადავადებული მოგების გადასახადი	11	29 584	10 151
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	12	-	15 398
სხვა აქტივები	13	393 093	479 898
<b>სულ აქტივები</b>		<b>5 331 284</b>	<b>5 016 085</b>
<b>ვალდებულებები</b>			
მიღებული სესხები	14	2 910 574	2 689 320
გადასახდელი პროცენტები	15	65 166	29 355
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	12	10 887	-
სხვა ვალდებულებები	16	15 572	9 744
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>3 002 199</b>	<b>2 728 419</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი		2 277 300	2 277 300
გაუნაწილებელი მოგება		51 785	10 366
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>	17	<b>2 329 085</b>	<b>2 287 666</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>5 331 284</b>	<b>5 016 085</b>

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 12 ივნისს.



თემურ ნიკოლაძე  
დირექტორი




ნატალია ლილუაშვილი  
ბუღალტერი

7-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2017 ლარი	2016 ლარი
საპროცენტო შემოსავალი		1 011 956	975 143
საპროცენტო ხარჯი		(299 052)	(296 745)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	19	712 903	678 398
სესხის გაუფასურების ზარალი		(109 765)	(41 321)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ზარალის შემდეგ		603 138	637 077
ვალუტის ყიდვა/გაყიდვის წმინდა მოგება		15 536	10 648
შემოსავალი ჯარიმების სახით	20	127 659	54 235
საპროცენტო შემოსავალი	21	44 390	32 265
სხვა შემოსავალი		5 500	3 000
საოპერაციო ხარჯები	22	(232 867)	(222 208)
არასაოპერაციო ხარჯები		(2 752)	(7 828)
კურსთა შორის სხვაობის წმინდა ზარალი	23	(61 391)	(10 217)
მოგება გადასახადამდე		499 213	496 973
მოგების გადასახადის ხარჯი	24	(75 127)	(75 706)
წლის მოგება		424 086	421 267



თემურ ნიკოლაძე  
დირექტორი

ნატალია ლილუშვილი  
ბუღალტერი

7-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება  
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბერს	2 242 900	33 970	2 276 870
ცვლილება მფლობელთა კაპიტალში	34 400	-	34 400
წლის მოგება	-	421 267	421 267
გადახდილი დივიდენდები	-	(444 871)	(444 871)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	2 277 300	10 366	2 287 666
ცვლილება მფლობელთა კაპიტალში	-	-	-
წლის მოგება	-	424 086	424 086
გადახდილი დივიდენდები	-	(382 667)	(382 667)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	2 277 300	51 785	2 329 085



თემურ ნიკოლაძე  
დირექტორი



ნატალია ლილუაშვილი  
ბუღალტერი

7-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება  
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

		2017	2016
	შენიშვნა	ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე		499 213	496 973
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	22	9 822	9 008
საპროცენტო შემოსავალი	19	(1 011 956)	(975 143)
საპროცენტო ხარჯი	19	299 052	296 745
		(203 869)	(172 417)
<i>ცვლილებები:</i>			
კლიენტებზე გაცემულ სესხების ზრდაში	7	(312 673)	(211 668)
სხვა აქტივების ზრდაში		43 915	(317 053)
სხვა ვალდებულებების ზრდაში		52 525	96 026
<u>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები</u>		<u>(420 102)</u>	<u>(605 111)</u>
მიღებული პროცენტი		979 199	973 507
გადახდილი პროცენტი		(263 622)	(284 488)
გადახდილი მოგების გადასახადი		(68 700)	(99 700)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		<u>226 775</u>	<u>(15 792)</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	9	(3 039)	(5 860)
არამატერიალური აქტივის შეძენა		2 000	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		<u>(1 039)</u>	<u>(5 860)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	35
მიღებული სესხების ზრდა	14	221 255	476 222
გადახდილი დივიდენდები		(382 667)	(444 871)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		<u>(161 412)</u>	<u>31 386</u>
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ნამატი		<u>62 324</u>	<u>9 734</u>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(18 427)	10 217
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	6	56 464	36 514
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასასრულისათვის	6	<u>102 362</u>	<u>56 464</u>

თემურ ნიკოლაშვილი  
დირექტორი

ნატალია ლილუაშვილი  
ბუღალტერი

7-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მისო „გლობალ კრედიტი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის (2006 წლის 18 ივლისი) შესაბამისად. 10.10.2008 წელს.

კომპანიის იურიდიული მისამართია, საქართველო, 4600 ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მისო „გლობალ კრედიტი“-ს კაპიტალის 100%-ის მფლობელი პარტნიორები არიან 3 ფიზიკური პირი, რომელთა წილობრივი მონაწილეობა განსაზღვრულია: 40%; 40%; და 20%-ით.

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობას ანხორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს პარტნიორთა საერთო კრება. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

კომპანიის მიზანია, ხელი შეუწყოს და განავითაროს მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, გააუმჯობესოს კლიენტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა. კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური ბიზნეს სესხები, აგრო სესხები, სამომხმარებლო სესხები, იპოთეკური სესხები, ბიზნეს სესხები და ა.შ.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოში არსებულ ბიზნესგარემოს გავლენის ხელმძღვანელობისეულ შეფასებას. მომავალში ბიზნესგარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის ახლანდელი შეფასებებისაგან.

## 2. მომზადების საფუძველი

### (ა) ანგარიშგების შესაბამისობა და შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (ფასს) საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

### (ბ) მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებსა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთ ლარამდე სიზუსტით.

### 3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში

#### (ა) უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები, რომელიც განხორციელებულია უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

#### (ბ) სამართლიანი ღირებულების შეფასების პრინციპები

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგად:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიპოვება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

### (გ) ფინანსური ინსტრუმენტები

#### (გ.1) აღიარება

თავდაპირველი აღიარება ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების გადატანა ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში გადიოდა.

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად კომპანიას წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ეს ინსტრუმენტები მოიცავს ნასესხებ სახსრებს.

#### (გ.2) შეფასება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხორციელდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება ოპერაციის ის დანახარჯები რომელიც უშუალოდ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შეძენას ან გამოშვებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივების აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, შეძენის ან გადაცემისას ოპერაციის ღირებულების გამოკლების გარეშე, გარდა სესხების და მოთხოვნების, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებად მოგებაში ან ზარალში ასახვით, და იმ ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოიშობა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გადაცემისას, რომელიც არ განაპირობებს აღიარების შეწყვეტას, აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების და მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

#### (გ.3) ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს ძირითადი გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა და მინუს გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. პრემიები და დისკონტები, თავდაპირველი ოპერაციის ხარჯების ჩათვლით, ჩართულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზდება ამ ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.



**(გ.4) მოგება ან ზარალი შემდგომი შეფასებისას**

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული აქტივიდან წარმოშობილი შედეგი, აისახება მოგებაში ან ზარალში. ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსავალი ან ხარჯი, აღიარდება მოგება-ზარალში ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას ან გაუფასურებისას.

**(გ.5) აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა კომპანია გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ან როცა კომპანია არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკებსა და სარგებელს და არ აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს.

ფინანსური აქტივი, რომელიც ექვემდებარება აღიარების შეწყვეტას, დარჩენილი ნებისმიერი წილი, რომელიც იქმნება ან რჩება კომპანიაში, აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან იწურება, შესაბამისად კომპანია ახორციელებს იმ აქტივების ჩამოწერას, რომელთა გადახდა უიმედოდ არის მიჩნეული.

**(გ.6) ჩათვლა**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის ჩათვლილი და ნეტო თანხით წარმოდგენილი მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს სამართლებრივი უფლება, რომ ჩათვლილ იქნეს აღიარებული თანხები და არის ურთიერთჩათვლის განზრახვა, ან არსებობს ვალდებულების დაფარვისა და აქტივის რეალიზაციის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

**(გ.7) გაუფასურება**

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება, რომ ფინანსური აქტივები ან აქტივების ჯგუფი გაუფასურდა. თუ არსებობს ასეთი მტკიცებულება, კომპანია განსაზღვრავს გაუფასურებისაგან მიღებული ზარალის თანხას.

ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება და გაუფასურების ზარალი წარმოიქმნება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმ გაუფასურების, რომელიც გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე იმ მოვლენით, რომელიც/რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ამგვარმა მოვლენამ (ან მოვლენებმა) ზეგავლენა იქონია მის მომავალ სავარაუდო ფულად ნაკადებზე, რომლის სარწმუნოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ობიექტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურდა, მოიცავს მსესხებლის მიერ სესხის თანხის გადაუხდელობას ან სესხთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებისა თუ პირობის დარღვევის შემთხვევას, ფინანსური აქტივის ან აქტივთა ჯგუფის რესტრუქტურისაგან ისეთი პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა, ნიშნებს იმის თაობაზე, რომ მსესხებელი ან თავმდები გაკოტრდა, ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობას, უზრუნველყოფის გაუფასურებას ან აქტივების ჯგუფთან დაკავშირებულ სხვა შესაძენე მონაცემებს, მაგალითად, ჯგუფში შემავალი მსესხებლების გადახდის მაჩვენებელში უარყოფით ცვლილებებს, ან ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალი მსესხებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

**(გ.8) ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი**

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შედგება გაცემული სესხებისა და სხვა მოთხოვნებისგან. კომპანია რეგულარულად ახორციელებს მათ გადახედვას გაუფასურების მაჩვენებლების შეფასების მიზნით.

კომპანია, პირველ რიგში, განსაზღვრავს, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს განცალკევებით, ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისა და მოთხოვნებისათვის, თუ ინდივიდუალურად ან ერთიანად სესხებისა და მოთხოვნებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვან აქტივებს არ წარმოადგენენ. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული სესხების ან მოთხოვნების (მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია სესხს აერთიანებს მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე სესხებსა და მოთხოვნებში და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ.

სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების კუთხით და რომელთათვისაც ხდება და გრძელდება გაუფასურების ზარალის აღიარება, გაუფასურების ერთიანი შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სესხთან ან მოთხოვნასთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალის დადგომის ობიექტური მტკიცებულება, ამ ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა სესხის ან მოთხოვნის საბალანსო ღირებულებასა და სესხის ან მოთხოვნის დისკონტირებული მომავალი სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მათ შორის თავდაპირველი გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან ამოღებადი მომავალი ფულადი ნაკადების), რომელიც დისკონტირებულია სესხის ან მოთხოვნის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

სესხებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში და კორექტირდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას.

მაშინ, როდესაც სესხის ამოღება შეუძლებელია, ხდება მისი ჩამოწერა სესხის გაუფასურების რეზერვების მიმართ. კომპანია ჩამოწერს სესხის დარჩენილ ნაწილს (და სესხის გაუფასურების შესაბამის რეზერვს), როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ შეუძლებელია სესხის ამოღება და როდესაც დასრულდება ყველა ის ქმედება, რომელიც გამიზნული იყო სესხის ამოსაღებად.

**(დ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისაგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან. მათი ასახვა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

**(ე) არაფინანსური აქტივები**

გადავადებული გადასახადების გარდა, კომპანიის სხვა არაფინანსური აქტივების შეფასება ხდება თითოეული სააანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების მაჩვენებელი.

არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება არის ამ აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი

ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ დაშვებებში. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

(ვ) დივიდენდები

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს, ასევე საწარმოს წესდებას.

(ზ) შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოსაკრებლების, საკომისიოებისა და სხვა შემოსავლის და ხარჯის აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით საოპერაციო იჯარის ვადის ამოწურვამდე. მიღებული საიჯარო სტიმულირება აღიარდება როგორც სრული საიჯარო ხარჯის შემადგენელი ნაწილი, იჯარის ვადის განმავლობაში.

(თ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე მოგების გადასახადისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების თანხების ჯამისგან. მიმდინარე მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება წლის დასაბეგრი (15%-იანი განაკვეთი) მოგების საფუძველზე.

გადავადებული გადასახადი წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულების საბალანსო ღირებულებებსა და მათი შესაბამისი საგადასახადო ბაზის მონაცემებს შორის სხვაობის (დროებითი სხვაობა) შედეგს. გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს დასაბეგრ მოგებას და გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება გადავადებული საგადასახადო აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულების შეფასება და განხილვა და სწორდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს მომავალი დასაბეგრი მოგების მიმდინარე შეფასებები. ნებისმიერი კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია იმ პერიოდების დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის) მიმართ, რომელთათვისაც ივარაუდება გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვა. გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის დადგენილი ან არსებითად დადგენილი საგადასახადო განაკვეთის და მოქმედი კანონმდებლობის გამოყენებით.

(ი) იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც იჯარის პირობებით გათვალისწინებულია იჯარით აღებული აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და სარგებლის ძირითადი გადასვლა კომპანიაზე. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა.

## (ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებებისთვის კომპანიას განსაზღვრული აქვს შემდეგი მომსახურების ვადები:

- შენობა-ნაგებობები 3-5%
- მანქანა-დანადგარები 14-20%
- საოფისე აღჭურვილობა 14-20%
- ავეჯი და მოწყობილობები 14-20%
- სატრანსპორტო საშუალებები 10-20%
- სხვა ძირითადი საშუალებები 5-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

## (ლ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფებს. არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

## (მ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

## (ნ) სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

კომპანიას ისტორიულად არ ქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და დარიცხვას.

## (ო) ანარიცხები

რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

#### 4. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმდინარე და სამომავლო ცვლილებები.

- (ა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში შესული ცვლილებები, რომელიც ძალაშია მიმდინარე წელს.

##### ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“

კომპანიამ მიმდინარე პერიოდში პირველად მიიღო არსებული შესწორება. შესწორება შეეხო ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ეხმარება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს კომპანიის ლიკვიდურობის მდგომარეობის უკეთ შეფასებაში. ახალი მოთხოვნების თანახმად კომპანია ვალდებულია გახსნას ინფორმაცია თავის ფინანსურ ვალდებულებებში, როგორც ფულადი მუხლებით ისე არაფულადი მუხლებით მომხმარებელთა ცვლილებებზე.

ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები კომპანიას აქვს კაპიტალში მოზიდული სახსრებისა და საბანკო სესხების სახით. სტანდარტის აღნიშნულ ცვლილებას სხვა გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოუხდენია. ინფორმაცია ამ ცვლილებებთან დაკავშირებით განმარტებულია შენიშვნა 14-ში.

##### ცვლილებები ბასს 12-ში „მოგებიდან გადასახადები“

კომპანიამ მიმდინარე პერიოდში პირველად მიიღო არსებული შესწორება, რომელმაც განმარტა აღრიცხვის მიზნებისათვის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მაგრამ საგადასახადო მიზნებისათვის თვითღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების გადავადებული საგადასახადო აქტივების ბუღალტრული აღრიცხვის წესი.

აღნიშნული შესწორებების გამოყენებას საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

- (ბ) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა.

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

##### ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასს-მა გამოუშვა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვერსია, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ყველა ფაზას და ჩანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა მანამდე არსებულ ვერსიას. სტანდარტით დამტკიცდა კლასიფიკაციისა და შეფასების, გაუფასურებისა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი წესები.

კლასიფიცირებასა და შეფასებას რაც შეეხება, ეს ახალი სტანდარტი მოითხოვს წილობრივი ინსტრუმენტებისა და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა ყველა ფინანსური აქტივის შეფასებას საწარმოს მიერ ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელის და ასევე ამ ინსტრუმენტებზე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავისებურებების საფუძველზე.

ბასს 39-ის შეფასების კატეგორიები ჩანაცვლდება შემდეგით: სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში (FVPL), სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), და ამორტიზებული ღირებულების კატეგორიები. ამასთანავე, ფასს 9 საწარმოებს საშუალებას მისცემს, რომ ის ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, შეუქცევადად განსაზღვროს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუკი ეს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას მთლიანად აღმოფხვრის ან საგრძნობლად შეამცირებს. წილობრივი ინსტრუმენტები, რომელთა ფლობის მიზანიც არ არის



გაყიდვა, შეიძლება შეუქცევადად განისაზღვროს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, რის შემდეგაც მოგების ან ზარალის რეკლასიფიცირება აღარ მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა მეტწილად იგივე დარჩება, რაც ბასს 39-ითაა გათვალისწინებული.

ფასს 9-ით ასევე ძირითადად შეიცვლება მიდგომა სესხის გაუფასურებისადმი. ეს სტანდარტი ბასს 39-ის მიღებული ზარალის მიდგომას ჩაანაცვლებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით, რომელიც მომავალზეა ორიენტირებული, და არა წარსულზე. ბანკი ვალდებული იქნება ყველა სესხისა და სხვა დებიტორული ფინანსური აქტივისთვის, რომლებიც არ არის მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, ასევე სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის, შექმნას მოსალოდნელი ზარალის რეზერვი. რეზერვი დაეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი, ამ შემთხვევაში რეზერვი უნდა ეყრდნობოდეს ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში.

ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. რეტროსპექტულად გამოყენება სავალდებულოა, თუმცა შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშება არ მოითხოვება; გადასვლის თარიღზე (2018 წლის 1 იანვარი) ეფექტი უნდა აღირიცხოს გაუნაწილებელ მოგებაში. ფასს 9-ის მიღება, მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს კომპანიის ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე, მაგრამ გავლენას არ იქონიებს კომპანიის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე. კომპანია მოელის მნიშვნელოვან გავლენას თავის კაპიტალზე, გაუფასურებასთან დაკავშირებით ფასს 9-ის მოთხოვნების შემოღების გამო, მაგრამ გავლენის მასშტაბის დასადგენად მას დასჭირდება დამატებითი დეტალური ანალიზის ჩატარება, რომელიც გაითვალისწინებს ყველა გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, საპროგნოზო ელემენტების ჩათვლით. ზოგადად ხელმძღვანელობა მოელის, რომ ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოყენება კომპანიას მიიყვანს სტანდარტში მოცემული სტატიების მიხედვით საკრედიტო ზარალის უფრო ადრე აღიარებასთან და ზარალის თანხის ზრდასთან.

ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება ფასს 4-თან ერთად „სადაზღვევო კონტრაქტები“ - ცვლილებები ფასს 4-ში

ცვლილებები ეხება საკითხებს, რომლებიც წამოიჭრა ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 9-ის დანერგვიდან სადაზღვევო კონტრაქტების შესახებ ახალი სტანდარტის დანერგვამდე, რომელიც საბჭომ ფასს 4-ის ჩასანაცვლებლად შეიმუშავა. ეს ცვლილებები საწარმოებს სადაზღვევო კონტრაქტების გაფორმების ორ ვარიანტს სთავაზობს: დროებითი გამონაკლისი ფასს 9-ის გამოყენებიდან და „გადაფარვის“ მიდგომა. ნებაყოფლობითი დროებითი გამონაკლისი ფასს 9-ის გამოყენებიდან განკუთვნილია იმ საწარმოებისთვის, რომლებიც მეტწილად დაზღვევით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. დროებითი გამონაკლისი ასეთ საწარმოებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და გადაავადონ ფასს 9-ის გამოყენება მაქსიმუმ 2021 წლის 1 იანვრამდე. გადაფარვის მიდგომა საწარმოსგან მოითხოვს, რომ არ გაითვალისწინოს თავისი მოგების ან ზარალის ის დამატებითი მერყეობა, რომელიც შეიძლება განაპირობოს ფასს 4-თან ერთად ფასს 9-ის გამოყენებამ.

დროებითი გამონაკლისის გამოყენება შესაძლებელია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. საწარმოს შეუძლია გადაფარვის მიდგომის არჩევა, როდესაც იგი პირველად გამოიყენებს ფასს 9-ს და ამ მიდგომის გამოყენება რეტროსპექტულად იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით, რომლებზეც მოქმედებს ფასს 9-ზე გადასვლა. ამ ცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება კომპანიაზე.

## ფასს 16 „იჯარა“

2016 წლის იანვარში ბასსს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 „იჯარა“ . ახალი

სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით,

აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და საამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 15-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება.

კომპანია არ მოელის ფასს 16-ის ვადაზე ადრე მიღებას და ამ ეტაპზე აფასებს მის გავლენას.

## ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

2014 წლის მაისში ბასსს-მა გამოსცა ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“, რომელიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ფასს 15 განსაზღვრავს შემოსავლის აღიარების პრინციპებს და გავრცელდება კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე. თუმცა, ფინანსურ ინსტრუმენტებისა და იჯარის თანმდევი საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი კვლავაც გასცდება ფასს 15-ის სამოქმედო არეალს და დარეგულირდება სხვა მოქმედი სტანდარტებით (მაგ. ფასს 9-ით და ფასს 16-ით „იჯარა“)

ფასს 15-ის თანახმად, შემოსავლის აღიარება უნდა მოხდეს საქონლის ან მომსახურების გადაცემისას იმ ოდენობით, რა ოდენობის კომპენსაციასაც გადამცემი მოელის საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. სტანდარტით ასევე დაზუსტდება სავალდებულო განმარტებითი შენიშვნების სრული პაკეტი შემოსავლის ხასიათის, ოდენობისა და ვადების, ასევე მისი განუსაზღვრელობისა და კლიენტებთან შესაბამისი ფულადი ნაკადების შესახებ.

კომპანია არ მიუღია ფასს 15 ვადაზე ადრე და ამ ეტაპზე აფასებს მის გავლენას.

## ცვლილებები ფასს 2-ში

ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ფასს 2-ში „წილობრივი გადახდა“, რომლებიც ეხება წილობრივი გადახდი

ოპერაციების კლასიფიკაციასა და შეფასებას. ამ ცვლილებების მიზანია პრაქტიკაში არსებული განსხვავებების აღმოფხვრა, მაგრამ მათი სამოქმედო არეალი ვიწროა და ეხება კლასიფიკაციისა და შეფასების მხოლოდ სპეციფიკურ ასპექტებს. კერძოდ, ცვლილებები შემდეგ სამ ძირითად საკითხს ეხება:

\* უფლების გადაცემის პირობების გავლენა ფულით განსაზღვრული წილობრივი გადახდის ოპერაციის შეფასებაზე.

\* მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის პირობების მქონე წილობრივი გადახდის ოპერაციების კლასიფიკაცია  
გადასახადის დაკავების ვალდებულებისთვის.

## შპს მისო „გლობალ კრედიტი“

• წილობრივი გადახდის ოპერაციების პირობების ცვლილების შედეგად ფულით განსაზღვრულის კატეგორიიდან. მათი წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრულის კატეგორიაში გადატანის აღრიცხვა.

ცვლილებები ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ცვლილების მიღებისას საწარმოებს მოეთხოვებათ ცვლილებების გამოყენება წინა პერიოდების გადანაგარიშების გარეშე, მაგრამ რეტროსპექტულად გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ საწარმო მას გამოიყენებს სამივე ცვლილების შემთხვევაში და ასევე დაკმაყოფილდება სხვა კრიტერიუმებიც. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც.

ამ ცვლილებებს სავარაუდოდ გავლენა არ ექნება კომპანიაზე.

## ფაისკ 23 – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“

ფაისკ 23 აკონკრეტებს მოგების გადასახადებთან დაკავშირებული გაურკვევლობის აღრიცხვის წესს. ინტერპრეტაცია ეხება დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის), საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის და საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრას, როდესაც არსებობს გაურკვევლობა ბასს 12-ის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით. ფაისკ 23 ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც.

ამ დროისთვის კომპანია აფასებს ზემოაღნიშნული ცვლილების გავლენას.

## 5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.

ფინანსური ანგარიშგების ფასის-ის შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების სახით ასახულ თანხებზე.

## განუსაზღვრელობის შეფასება.

